პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 101

2019წ. "14" 05

ქ. თბილისი

შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №05 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №05 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“.

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,შპს კოლეჯს ხვალინდელი წარმატებისთვის (ს/კ:404506502) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები“:

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1) (1)	მეხუთე დონე / საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0716 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში (მოქმედების ვადა: 2020 წლის 29 თებერვალი) 041665	127.5	127.5	ინგლისური	30	ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. №191გ
2	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2) (1)	მეხუთე დონე / საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0716 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში (მოქმედების ვადა: 2020 წლის 29 თებერვალი) 041665	121.5	121.5	ინგლისური	30	ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. №191გ

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის

გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 მაისის №7 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე